

## 2005 წელი

29 დეკემბერი, 2005 წელი

### რუსთავის №6 საპყრობილის მომავალ თანამშრომლებს სერტიფიკატები გადაეცათ

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 საპყრობილის მომავალ თანამშრომლებს, რომელთაც სპეციალური ტრენინგის კურსი გაიარეს, იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ დღეს სერტიფიკატები გადასცა.

მინისტრის თქმით, რუსთავის ახალი, 800 ადგილიანი საპყრობილე იანვარში ამოქმედდება. საპატიმროს რეკონსტრუქცია ევროკომისიის ფინანსური დახმარებით განხორციელდა. „საპყრობილეში არსებული პირობები საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. იმედი მაქვს, რომ თქვენი დახმარებით ადმინისტრირების მოდელიც ასეთივე იქნება“, - მიმართა გია ქავთარაძემ საპყრობილის მომავალ თანამშრომლებს.

წლეულს ნოემბერში ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულმა რუსთავის №6 საპყრობილის ადმინისტრაციაში მუშაობის მსურველებმა ტრენინგი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში 5-დან 28 დეკემბრამდე გაიარეს. ცენტრის დირექტორის კობა ღლონტის ინფორმაციით, სწავლებაში 173 კანდიდატი და 28 ტრენერი მონაწილეობდა. სპეციფიკის მიხედვით, ტრენინგში მონაწილენი ჯგუფებად იყვნენ დაყოფილი. რუსთავის №6 საპყრობილე, ქუთაისის №2 საპყრობილის შემდეგ, მეორეა, სადაც კონკურსით წესით შერჩეული თანამშრომლებისათვის სპეციალური ტრენინგი ჩატარდა.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, სპეციალურ სწავლებას მომავალში სასჯელაღსრულების სისტემის ყველა თანამშრომელი გაივლის.

5 დეკემბერი, 2005 წელი

### რუსთავის ახალი საპყრობილის მომავალი თანამშრომლებისათვის ტრენინგი გაიხსნა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 საპყრობილის ადმინისტრაციაში დასაშნად შერჩეული კანდიდატებისათვის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს ერთთვიანი ტრენინგი დაიწყო, რომელიც იუსტიციის მინისტრმა კონსტანტინე კემულარიამ გახსნა.

იუსტიციის მინისტრის თქმით, ბოლო პერიოდში პენიტენციარული სისტემის რეფორმის ფარგლებში ოთხი ახალი დაწესებულება ჩამოყალიბდა - არასრულწლოვანთა, ქალთა, ქუთაისის №2 და რუსთავის №6 საპყრობილები. აქ შექმნილი პირობები, ევროკავშირის ექსპერტთა დასკვნით, ევროსტანდარტებს შეესაბამება. „ინფრასტრუქტურის განახლებასთან ერთად, მიმდინარეობს პროფესიონალი კადრების მოზიდვა. სისტემაში ხელფასის გაზრდამ იუსტიციის სამინისტროს საშუალება მისცა, ქუთაისისა და რუსთავის საპყრობილებში სასურველი კადრი საკმაოდ რთული კონკურსის წესით შეერჩია. რუსთავის საპყრობილის მომავალი თანამშრომლები, ქუთაისის საპყრობილეში დასაქმებული კადრების მსგავსად, სპეციალური პროგრამით მომზადდებიან და შესაბამის სერტიფიკატებს მიიღებენ“, - აღნიშნა კონსტანტინე კემულარიამ.

რუსთავის საპყრობილის ადმინისტრაციაში 173 კანდიდატია შერჩეული.

საპყრობილეში საშუალო ხელფასი 400 ლარი იქნება. რუსთავის ახალი, 800 ადგილიანი საპატიმროს გახსნა უახლოეს მომავალში იგეგმება. მისი რეკონსტრუქციისათვის საჭირო 1.7 მლნ. ევრო ევროკომისიამ გაიღო.

1 დეკემბერი, 2005 წელი

### იუსტიციის სამინისტროში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი დაფუძნდა

საქართველოს პრეზიდენტის მიხელ სააკაშვილის ბრძანებულების საფუძველზე, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დაფუძნდა.

სასწავლო ცენტრი საქართველოში პირველია, სადაც სასჯელაღსრულების სისტემისა და პრობაციის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლება იქნება შესაძლებელი.

იუსტიციის სამინისტროში ამჟამად სასწავლო ცენტრის დებულება მუშავდება.

სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმის ფარგლებში მოხდა.

ახალი, თანამედროვე ტიპის პენიტენციარული სტრუქტურის შექმნის პროცესში სისტემაში დასაქმებული კადრების მაღალ კვალიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.